ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ.

კვირა, 6 ივნისი

ბაბო ავალიშვილისა
(გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების გამო)

№ 22

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. Тифлисъ.
Редакція «Театри да Цховреба»
Іос. Зах. Имедашвили
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირის-პირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. დ. საღ. 6—7 ს.
ტელეფონი № 862

№ 22 ᲙᲕᲘᲠᲐ, 6 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1910

რედაქციისაგან. ჩვენმა მხცოვანმა და საყვარელმა **მგოსანმა აკაკიმ** მუდმივი თანამშრომლობა აღგვითქვა ᲯᲔ დღეის შემდეგ მახლობელს მონაწილეობას მიიღებს ჩვენს ჟურნალში.

6 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1910 Წ.

ახალი გზა, შეჩვეული ჭირი შეუჩვეველ **ახალი ძალა.** ლხინს მირჩევნიაო, უთქვამს ხალხს და ალბად ამ ანდაზის მტკიცედ მიყოლვამ თუ დაგვასნეულა ასე ძლიერად...

ძველის ბაძვა, გატკეპნილ გზაზე მანქანისებურად სვლა, უკვე გაბატონებულის მონება,—ერთი სიტყვით, მამა-პაპათა ადათ-წესებით ცხოვრება ყოველგვარ წინმსვლელობას აფერხებს და აკი ჩვენის თეატრის წინმსვლელობაც შეფერხდა, თითქოს ერთს ადგილს გაიყინაო...

გასული კვირის ნომერში შეძლებისა-და გვარად აღვნიშნეთ ჩვენის მოზარდი თაობისა და სცენის დაქვეითების მიზეზი და შედეგი, დავსკვენით, რომ ჩვენი სცენა მხოლოდ სრულიად ახალის ძალებით, ახალის გზით თუ ეღირსება ფეხზე ადგომას, წელში გამართვას...

როგორი უნდა იყოს ეს ახალი ძალა?

ჩვენის მსახიობთა პირველმა თაობამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, **მამათა თაობამ,** სცენაზე პირველი გამოსვლიდანვე დამოუკიდებლად, მიუბაძველად, გაბედულად გამოსდგა ნაბიჯი, პირველი გამოსვლითვე მიიჯაქვა საზოგადოების ყურადღება და თავის დროის მოთხოვნილებას შესაფერი პასუხიც გასცა, თავისი მოწოდება სამაგალითოდ შეასრულა. მათ შემდეგ დიაღაც ბევრნი მიეტმასნენ სცენას, მაგრამ ვეღარავინ შესძლო სცენაზე გაბატონებულთა გვერდზე ამოდგომა, ან წინსვლა...

როგორც უკვე ვსთქვით, ეს ასეც უნდა ყოფილიყო: გაბატონებულნი აგრე ადვილად არ დასთმობდენ თავიანთს უაღრესობას...

და ამიტომაც არის, რომ დღემდე—თუმცა უკვე ისე აღარ—მაინც საზოგადოებას ახალგაზდებზე მეტად ისევ ძველები იზიდავს, ალბად წინანდელის ეშხით...

ეს ფაქტია...

ქართული სცენა-კი... ისევ სავალალო მდგომარეობაშია...

უკანასკნელმა გამოსაცდელმა წარმოგენამ ხომ იმედი გაგვიცრუა...

გულსაკლავია სცენაზე ახალად შემომსვლელთა უმეტესობის განცხადება-თხოვნა: ადგილი ვერსად ვიშოვე და მიმიღეთ.. გამოვდგები როგორმე... სცენას შევეჩვევი და ვივარგებო, მიჭირს და მცირე ჯამაგირში მიმიღეთო. . როგორ ძოლებშიაც გინდათ გამომიყვანეთ და სხ. და სხ. მომეტებულს მათგანს ხომ წერა-კითხვასა და ანბანზე წარმოდგენაც არა აქვს, თუ წაიკითხავს—წაკითხულის გაგებასაც ვერ შესძლებს...

თითქო ქართული სცენა მხოლოდ უნიჭოთა საკრებულო, ინვალიდთა, ცხოვრების სხვა ასპარეზზე დამარცხებულთა თავ-შესაფარი იყოსო,—ასეთი ხალხი იყრის თავს...

არა, ჩვენს სცენას ამისთანა ხალხისგან არ უწერია ხსნა...

რას ნიშნავს? რა მიზეზია რომ ქართულ სცენას ინტელიგენტი ძალა არ ეკარება? ნუ თუ ქართველ ერში თვითნიჭიერება აღარ იბადება?

სინამდვილე-კი სხვას გვეუბნება, სახელ-

დობრ იმას, რომ სცენისთვის სასარგებლო ძალნი ქართულს თეატრს გაურბიან, სხვაგან რჩეობენ საშსახურს!..

აი მიზეზი, რომელსაც გამოკვლევა და თავიდან აცილება ეპირვება.

ქართული სცენის ფეხზე დაყენება დღეს საგმირო საქმეა და სწორედ ასეთ გმირებსაც მოითხოვს დღეს ჩვენი სცენა...

სწავლა-ცოდნით აღჭურვილს, გონებაზნეობით განსპეტაკებულს, მწიგნობრობისა და ხელოვნების მცოდნეს, ზემომადლებული ნიჭით აღჭურვილს, თავისუფალს მხატვარს, დამოუკიდებელს, საკუთარი შეგნება-რწმენით მოსიაარულე არტისტს მოითხოვს ჩვენი სცენა. მხოლოდ ამ გვართაგან თუ ეშველება ჩვენს სცენას...

ახალი არტისტი, სცენის ახალი მოღვაწე უნდა იყოს **თვიშემქმნელი** და არა უხეირო მიმბაძველი, **თვით-მომცემი** და არა სხვის ხელის შემყურე, **საკუთარი გზით მოსიარულე** და არა სხვათა ყურჩასაკიდებელი.

ამგვარი ახალი ძალებით შედგენილს დასს უეჭველი გამარჯვება მოელის, საზოგადოების სრული თანაგრძნობა და **ქართული მუდმივი სათეატრო მაყურებელი** რომ შეიქმნას,—ამისათვის საჭიროა სამოქმედო ასპარეზის გაფართოება.

როგორი უნდა იყოს ეს სამოქმედო ასპარეზი და რა კვალი უნდა გაავლოს ახალმა ძალამ, —ამაზე შემდეგ.

ახლანდელი პოეზია

მიყვარს ვარდი, ია.
პირი დაულია
ჩემს საყვარელს თინას.
ვენაცვალე იმას!
მისთვის ვდნები მე.
ისკი შევჭამე!

—

თინასა ჰყავს დები.
მე-კი მისთვის ვკვდები.
ყველას ის სჯობია,
როგორც პანტას ბია.
მისთვის ვდნები მე.
ისკი შევჭამე!

ფხიზელს და ძილშია
ის მიზის გულშია.
მწყურია, თუ მშია,
მისთვის ვდნები მე.
ისკი შევჭამე!

—

ცაზე კრთის ვარსკვლავი.
მე-კი თინას მკლავი
მირჩევნიან ყველას—
ზეცას, ცისარტყელას,
მისთვის ვკვდები მე.
ისკი შევჭამე!

—

თინავ, თინავ, თინავ!
მზესავით რომ ბრწყინავ,
შემიბრალე, მალე
მოდი ჩემთან ხვალე.
შენთვის ვდნები მე.
შენკი შეგჭამე!

—

მივცეთ დავიწყებას
თავი, ნეტარებას.
შევსცეროთ შუაში
სიყვარულის ზღვაში.
შენთვის ვდნები მე.
ოოხ! შენ შეგჭამე.

ივ. გომართელი

ჩემი შენიშვნები

(დასასრული. იხ. „თ. და ც“. № 21)

მე არ მინახავს ჯერ ისეთი ქართული წარმოდგენა, სადაც თავიდან ბოლომდის ბუნებრივობა მიხვრა-მოხვრისა ყველას-მიერ დაცულ ყოფილიყოს. განსაკუთრებით თანამედროვე პიესებში, სადაც „თეატრალობა“, თეატრალური „ჟესტი“ ოღონდაც რომ დასაგმობია. მესმის, ე. ი. ასე თუ ისე, კიდევ ვურიგდები კლასიკურ პიესებში მსახიობურ მიხვრა-მოხვრას. ეგეც ერთ გვარი სტილის დაკვრაა, „სტილიზაცია“. მაგრამ სრულიად ვერ გამიგია და ვერ შევჩვევივარ თანამედროვე პიესებში ამაღლებულ, ყალბ კილოს, უადგილო ფარო-

ფურთობას, ხელის ფართოდ ქნევას და თავსა და გულზე ხელების საგანგებოთ დაწყობას. ეს „მანერა“ დიდი ხანია დაგმობილია საუკეთესო თეატრებისა და არტისტების-მიერ. ის კი არა, თვითონ განთქმული იტალიელი ტრაგიკოსი როსსი ამბობს თავის მოგონებებში: „როდესაც პირველად ევრიპი „იფიგენიაში“ ორესტა ვითამაშე, ეს ტიპი მეტად ადამიანური გამოვიდ, მეტად დავუახლოვე მისი განსახიერება თანამედროვე მაყურებლის სულსა და გულს, ეს აღარ იყო ის მითოლოგიური მშვენიერი, მაგრამ მაინც ცივი და უსულ-გულო ქანდაკება, როგორსაც წინად გვისურათებდენ მსახიობნი. ჩემი ორესტი თითქო უფრო გაუბრალოვდა, „პიედესტალიდან“ ქვე-ჩამოვიდა და ჩვენებური, მომაკედავის ხორცი შეისხა. ამიტომაც უფრო გავიმარჯვე ამ როლში და მეტი აღტაცება გამოვიწვიეო“. ამას ამბობს თვით როსსი, რომლის პლასტიკა, რომლის კლასიკური მიხვრა-მოხვრა სამაგალითოდ არის მიჩნეული. ისიც კი რეალიზმისაკენ მოისწრაფოდა!

ასეთივეა, მაგრამ კიდევ უფრო გაუბრალოვებული, უფრო მარტივი და ხელ-მისაწვდომი, ერთი თანამედროვე ტრაგიკოსი იტალიისა ემანუელი. მისი „ჰამლეტი“ რომ ნახოთ თურმე, გაოცდებით. იმდენად სულ უბრალოთ და თითქო უეფექტოთ თამაშობს თურმე. მაგრამ დამსწრენი და კრიტიკოსნი გვარწმუნებენ, რომ ამითი „ჰამლეტი“-ს მომხიბლავ შარავანდედს არა აკლდება-რა. ცოტა დაკვირვების შემდეგ უფრო მოგწონთ ეს შინაური ჰამლეტი, ეს თქვენი მახლობელი, ეს შეიძლება თვით თქვენი თავი.

დიაღ, სწორედ ეს გაშინაურებაა საქმე. ეს სიახლოვე, ეს ხელმოსაკიდობა, დემოკრატიზაცია ტიპისა, პიროვნებისა. და თუ ამას უხერხებენ კლასიკურ და ზე-აწეულ პიესებსა და ტიპებს, თანამედროვე პიესებს წარმოიდგენთ როგორი შესრულებაც მოუხდება.

მერე გგონიათ, რომ ჩვენი მსახიობი ამ უბრალოებას ვერ დაიცავს სცენაზე?

მოწინავე თეატრებმა და განსაკუთრებით მოსკოვის სამხატვრო თეატრმა მოგვცა ამის მაგალითი და იმედი, რომ სცენაზე უბრალოების და რეალობის დაცვა, განსახიერება საშუალო ნიჭის არტისტებისათვისაც შესაძლებელია. მხოლოდ რა თქმა უნდა, ამისათვის გაწვრთნა და მიჩვევაა საჭირო. ის, რაც წინედ მხოლოდ მაღალ-ნიჭიერთა კუთვნილება ეგონათ, საშუალო ადამიანისათვისაც შესაძლებელი გამოდგა ე. ი. სცენაზე უბრალოების გამოხატვა. რა თქმა უნდა მაღალ-ნიჭიერ მსახიობს ათასი საშუალება აქვს თავისი მადლიანი მხატვრული უნარი გამოიჩინოს. მას შეუძლიან უბრალოებაც უმაღლესის ხელოვნებით დაგვისურათოს და ამით ერთხელ კიდევ გაამართლოს ის აზრი, რომ რაც დიდებულია—ყოველივე მარტივია და ყოველივე მარტივი კი არ არის დიდებულიო, მაგრამ, ვიმეორებ, დღევანდელმა მოწინავე თეატრებმა ცხადათ დაგვანახვეს, რომ გაწვრთნითა და შრომით საშუალო ადამიანიც მიაღწევს მხატვრობაში, ხელოვნებაში სასურველ შედეგს. მაშასადამე ჩვენ მსახიობთაც შეუძლიათ, რომ უბრალოება დაიცვან სცენაზე. მხოლოდ მუშაობის სისტემას უნდა შეცვლა.

სადღეისო ვალიც ჩვენის თეატრისა ე. ი. ჩვენ მსახიობთა მეორე თაობისა სწორედ ეგ არის, რომ გამოვიდეს ერთ გარკვეულ გზაზე და ერთი გარკვეული მიმართულება დაამყაროს.

ჩვენმა მოხუცებმა მშვენიერი სასცენო დედაენა შეადგენს. მეორე თაობამ-კი წერა-კითხვა უნდა დაამყაროს.

წერა-კითხვის დამყარება კი სცენაზე რეალიზმია. ბუნებრივი, ადამიანური მიხვრა-მოხვრა, ბუნებრივი, ქართული გამომთქმელობა. აი რა უნდა შეიმუშავოს და რა უნდა დაამკვიდროს მეორე თაობამ. ისე კი მიმართულებითაც, ჩემის ფიქრით, თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი თეატრი ცხოვრებას დავუახლოვოთ, თუ გვინდა, რომ თვით ცხოვრებისაგან ანარეკლი სხივით გავაშუქოთ სათეატრო სურათები, მაშინ სინამდვილე უნდა იყოს ჩვენი სულის ჩამდგმელი, ხორც-შესხმულობა და ხელ-მოსაკიდობა უნდა იყოს ჩვენი სამოსელი. ყველა ამის გარდა, მე მგონია, რომ თვით ჩვენი მაყურებელის უმაღლესი მოთხოვნილებაც ჯერ-ჯერობით რეალურ თეატრის არსებობას ეთანხმება და იბსენისა და ჰაუპტმანის სიმბოლიზმწარეულ რეალიზმს არ გასცილება. ე. ი. მე მინდა ვთქვა—შეიძლება, დასახელებული ავტო-

რებიც და მისთანანი ჩვენი მაყურებლის უმეტესობისათვის ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყოს, მაგრამ მაინც და მაინც მათი გაგება შეიძლება დღეს-დღეობითაც შევაჩვიოთ ამ უმეტესობას და მისი შეგნება ავიყვანოთ ნახსენებ ავტორთა სიმაღლემდე.

თუმცა, ვთქვათ, რომ დღესვე გვესაჭიროება მაგ. „სათუო“ თეატრის გაჩენა. მის შესაქმნელად, ჩემის ფიქრით, კიდევ უფრო არის საჭირო რეალიზმი. ე. ი. სასცენო რეალიზმის მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა! ეს შეიძლება უბრალო მაგალითით აიხსნას: ვინაც კარგად და საფუძვლიანად არ იცის, ვთქვათ, მხატვრობა, ხატვა, ის ვერც კარიკატურას დახატავს. როდესაც კარიკატურას დახედავთ, ასე გეგონებათ, ამას აბა რა დიდი ცოდნა და უნარი უნდაო, მაგრამ სწორედ კარგ კარიკატურის შექმნას სჭირდება დიდი და საფუძვლიანი ცოდნა ხატვის ყველა კანონებისა. კარიკატურა ხომ არავითარ რეალურ სახეობას არ წარმოადგენს. ვის უნახავს მაგ. ისეთი დიდი თავი პატარა და წვრილ ფეხებზე, ან ისე გრძელი და მოუდრეკელი ფეხები მსხვილსა და ბურთივით მრგვალ ტანზე, როგორიც ზოგჯერ კარიკატურაშია. იქ ხომ ყოველივე განგებ გაზვიადებული ან დამახინჯებულია! მაგრამ იმისათვის საჭიროა თურმე საფუძვლიანი, ყოველ-მხრივი ცოდნა რეალურის, ნორმალურის სხეულისა, ანატომიისა, პერსპექტივის კანონებისა, ფერთა შეზავებისა და სხვა და სხვა ათასი ტეხნიკური ცოდნა.

აგრეა აქაც, თეატრის საქმეში. იმისათვის, რომ შემდეგ მაგ. „სათუო“ თეატრიც გვექმნეს, ჩვენთვის დღეს საჭიროა რეალური თეატრი. აქამდის კი რეალური თეატრი არ გვქონია. ე. ი. სინამდვილით გმმომსახავი წარსულისა და მიმდინარე ცხოვრებისა. იქ არ შექმნილა ილლიუზია სრულის სინამდვილისა.

მის დასამყარებლად-კი გვჭირდება: რა თქმა დნუა, სხვა და სხვა ტეხნიკური ცოდნაც, მაგრამ დღეს-დღეობით, ჩვენს პირობებში მყოფ მსახიობებს — სიმარტივე და უბრალოება. ისეთი მაინც, როგორიც თვით ჩვენ შეგვდგამს — ჩვენს ბუნებას და შემდეგ შეთანხმებული და ცხოვრებასთან დაახლოებული მორთულობა და ხელსაწყო. ეს ყველა თითქო წვრილმანია, მაგრამ აბა ვიღამ არ იცის ის ძველის-ძველი ჭეშმარიტება, რომ წვრილმანისაგან შესდგება დიდი სხეული და დიდი საქმე.

შალვა დადიანი

ლ ი ლ ა

თვალ-უწვდენი, მღელვარე ტბა
მზის სხივების ცეცხლზე გათბა..
ვარდს დაეცა გულზე წვეთი
ცის წიაღით მონაკვეთი
შეფრთხიალდა ცის ტოროლა
და მიდამო აათრთოლა!

*
* *

აპიკჭიკდი ტოტზე, ჩიტო..
იბრჭყვიალე მარგალიტო..
და ხრიალით შავ-ბნელ ხევში
ნიაღვარო გადაეშვი!
მაურს ნაღველი საბოლოვო
თქვენს უბიდან ამოვწოვო!

გ. ტაბიძე

აკაკი

რეაქცია

ოთხ მოქმედებიანი

სტენები აკაკისა

(ამ პიესის წარმოდგენა ანუ გადაბეჭდვა ავტორის ნებადაურთველად აკრძალულია)

მომქმედნი პირნი:

ვახუშტი ცხვარაძე, სოფლელი თავადი.
ბეჟან ცხვარაძე, მისი ძმა, სამსახურში ნამყოფი.
ალექსანდრე, ვახუშტის შვილი.
დათია, ვახუშტის მოსამსახურე.
იოსებ ლაბაძე, გადამწვარი გლეხი.
ფასია ლაშაძე, სოფლელი აზნაური.
ნატო, დიდებულიძის ქვრივი.
ნინო (მისი ქალები.
ელენე (
გიგო ბეგლარიძე, ნინოს საქრმო.
ოთხი გლეხი.

მოქმედება პირველი

ბუხრიანი ოთახი სოფელში

I

ვახუშტი, მარტო

ვახუშტი (ბუხარს უზის) დათია!

ხმა (მეორე ოთახიდან). აქა ვარ! (დრო გადის, არავინ შემოდის)

ვახ. დათია, დათია!

ხმა. აქა ვარ, აქ!! (არავინ შემოდის)

ვახ. (უფრო ხმა მაღლა) ჰმ!.. ბატონო, დავით!

II

იგივე და **დათია,** შემოდის.

დათია. რა გინდათ?

ვახ. რა უნდა მინდოდეს! გეძახი და ხმას არ მცემ!

დათია. რა გინდათ?

ვახუშტი. მოდი, ერთი, თუ კაცი ხარ, ბუხარში ჯირკი გაასწორე! ვერ არის კარგათ შედებული.., გადმოვარდნას აპირებს.

დათია. (იღრაჯება) მერე და ამას რა დიდი საქმე უნდა? უზემოთ ვერ გაასწორებ?

ვახუშტი. ვერა, შვილოს, რასაც მიჩვეული არა ხარ ყმაწვილობიდანვე, სიბერეში ვეღარას მოახერხებ.

დათია. (იღრიჭება) ჰმ... სხვა?

ვახუშტი. სხვა არაფერი!... რომ კიდეც რამე მქონოდა დასასაქმებელი, განა გამიგონებ? წელანდელისა არ იყოს, ათასჯერ უნდა დაგიძახოს კაცმა.

დათია. წელან არ მეცალა.

ვახუშტი. რა ცალი გეკიდა?

დათია. ბეჟანის კალოშებსა ვწმენდდი.

ვახუშტი. ბეჟანის კალოშებს რა უნდოდა აქ?

დათია. ალექსანდრესთან ამოვიდა. ძალიან კი ჩაუკრავს ფეხი! ამდენი ხანია ვწმენდ და კიდევ ვერ გავაცალე ტალახი.

ვახ. ახლა ალექსანდრესთან ბრძანდება?

დათ. იქ არი.

ვახ. კარგი გაუწმინდე, თუ ძმა ხარ!... (დათია კვდის, ვახუშტი თავზე გაყოლებს. სიჩუმის შემდეგ ამოიხვნეშებს და თავის თავს ეტყვის) აი ბეჩავ წინანდელო დროვ!.. ახლა დრო მაგათია!.. უნდა დავუყვავოთ... ია-ვარდი წან დაუფინოთ!.. თუ არ სიამ-ტკბილობით —ისე ვეღარას გახდები კაცი!.. ჰმ. ნუ იჯავრებო, მეუბნება ის ჩემი ახირებული შვილი. მოდი-და ნუ იჯავრებ! (ჩაფიქრდება) ბატონ-ყმობას რომ უპირობდენ გადაგდებას, მაშინაც ამ გვარი ნიშნები იყო!.. სწორეთ ჩამოგვართმევენ მიწებსაცა და სულ მშრალზე დავრჩებით. ღმერთმა ნუ ქნას ჩემ სიცოცხლეში და მერე მისი ნებაა „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზედაც ნულარ ყოფილაო“, ნათქვამია. ორი დღე ადარ დამრჩენია, წან ორი პარასკევი ადარ მიდევს, რად გავიხეთქო წინ-და წინ გული? მერე რაც იქნება—ის შვილებმა იკისრონ! მე კი მანამდე თუ მოვახერხე, ჩემს ნებაზე ვჭამ, ჩემს ნებაზე და ასე მივუჯდები ბუხარს თბილად (უჩხაკინებს ტეტხლს და დადინებს)

«გამხიარულდი ბუხარო,
გულ-ჩახვეული ნუ ხარო,
ზამთრისთვის შეშა ბევრი მაქვს
და ნულარაფერს სწუხარო“

შეშა კი არა, ჯირკი!.. ჯირკი! (უჩხიკინებს)

III

იგივნ და **ბეჟან** შემოდის.

ბეჟან. ოჰ, საღამო მშვიდობისა. გეტყობა კარგ გუნებაზე ხარ.,

ვახ, ისე შენი მტერი იყოს! მაგრამ მინდა, რომ გახურებულ ბუხარს გადავაყოლო გული... ჯავრს თავი წავართვა როგორმე.

ბეჟ. რა მოგვივიდა?

ვახ. სიბერე თავლაფდასხმული და შერცხვენილი! მივჯდომივარ კრუხივით ბუხარს... და ველარც იქით წავსულვარ და ველაც აქეთ. ზიარება რომ გინდოდეს... მღვდელთან გასაგზან კაცს ველარ შოვილობ. ერთობაო, თანაწორობაო!.. გამგონე აღარავინ არის და თვითონაც ველარ ინძრევი.. ვერსად მიდიხარ.

ბეჟ. სად უნდა წახვიდე ამისთანა დროს? რომ იტყვიან, ძაღლი არ გაიგდება კარშიო, სწორეთ ის არის! თოვლ-ჭყაპი, ქარი, ტალახი, სიცივე.

ვახ. — მერე და, რამ გამოგიყვანა ამისთანა დროს სახლიდან?

ბეჟ. — საქმე მქონდა შენს შვილთან. და მაინც რა ბევრია ჩემი სახლიდან აქამდე? სულ ორი ბიჯი თუ იქნება... მაგრამ გადამიცდა ფეხი და ტყვლეპა გავადინე.

ვახ. — ჯ! რა ხუმრობაა! ფეხი ხომ არ დაგისველდა ტალახში? ხომ არ გაცივდი? წამოიწიე ცეცხლისაკენ!

ბეჟ. (ზოიჩოჩებს სკამს)

„ბუხარი და ერთი კაცია—ნათქვამია.
თუ გაჭირდეს— ორი კაცია;
თუ მესამეც მიემატოს,
ადექი და კარში გადიო.“

ვახ. (აცინის) ეგ ახლანდელ ფეჩებზე უნდა იყოს ნათქვამი, თვარა ძველებურ პირ-ღია ბუხარზე კი არა! ამისთანა ბუხარი ხუთსაც ეყოფა ჩვენისთანას.

ბეჟ. ტყვილა დასცინიან იმ იმერელს, რომ უთქვამს: «ნურც საქაოს და ნურც საიქიოს ცეცხლი ნუ მომიშალოს ღმერთმაო.“ მართლა რომ კაი რამეა ცეცხლი, თუ შენ ნებაზე ანთია.

ვახ. ხუმრობ თუ? ზამთარში მაინც რა სჯობია გახურებულ ბუხარს? მარამ იმასაც თავისი ხელის შეწყობა უნდა: დაჭრილი შეშით ვერ გააძღებ, თუ ჯირკს არ შედებ. ჯირკი კი, მოგვეცა ღვთის წყალობა, მოწყობილი იყოს: საღამოს რომ შეუზიზინებ ცეცხლს, გათენებამდის გააქვს გუზ-გუზი! სითბო? სითბოს ისეთს იძლევა, რომ ამ ჯუჭუტანებში კარებიდან, ფანჯრებიდან თუ მაღლა ჭერებიდან რამდენიც უნდა უბეროს ქარმა, სიცივე ვერ შემოგედავს.

ბეჟ. მართლაც რომ მხურვალეა ჯირკი. მაგრამ სად შოვობ ამდენს?

ვახ. ცოტაა ტყეში? ზაფხულში მოვატანიებ, დავაგროვებ ხოლმე საზამთროთ და მორჩა და გათავდა.

ბეჟ. ბევრი უნდება ერთ ზამთარს?

ვახ. ასი თავს გადადის. (სიჩუმე)

ბეჟ. ამისთანა ღამეში დარჩენილხარ სადმე გარეთ?

ვახ. მე? ჰმ, ნეტავი პირაქით არ წამეკიდებოდეს ფათერაკი, თვარა მე რავა შევეჩხირები?.. რად გავიჭირვებ გაუჭირვალ საქმეს? სხვა რამე თქვი, თვარა იმას ვერ ვიტყვი, რომ ნებიერობა დამკლებოდეს. როცა სიცხეა ზაფხულში—პერანგა ვგორავ ხოლმე ჩეროში და ზამთრობით, სიცივეში ბუხარს ვუზიავარ ასე.

ბეჟ. ნეტავი შენ!.. მიტომაცა ხარ მაგრე შენახული!.. შენ ხომ ათი წლითა ხარ ჩემზე უფროსი? აბა ერთი შემოგვხედოს ვინმემ, თუ მე უფროსი არ ვეგონო!.. ეჰ, ან ასე რათა ვარ. რაც მე წვალება გამომიცდია?

ვახ. წვალება?!

ბეჟ.—ჰო! წვალება... გაჭირვება!.. შენ რომ ზაფხულში ჩეროში ჰგორავდი და სიო დაგქიქინებდა, მე იმ დროს, ვინ იცის, იმ პაპანაქებაში რანც-მოდებული, მივდიოდი აღმართში და ვიწურებოდი ოფლში!.. იმდენი წელიწადი იცოცხლე, რამდენიც მე ამისთანა ღამეში, და კიდევ უარესშიაც, გარეთ ვგდებულიყო მშიერ-წყურვალი.

ვახ. ეგ როდის?

ბეჟ. როდის და სამსახურში რომ ვიყავი.

ვახ. მაგიერათ, შე დალოცვილო, კაი კაპიტანი ხარ, მაგერ!

ბეჟ. რას მიკეთებს მერე ეს კაპიტნობა?

ვახ. როგორ თუ რას გიკეთებს? ხალხში გამოსული ხარ, პატივცემული და ბევრის ნანახი.

ბეჟ. ნანახი თვარა, მე შენ გეტყვი რომ-პაპასთან ვატარებდი დროს!.. ხან იქით და ხან აქეთ დავყიალობდი დაღესტნის მთებში!.. ვინ უნდა მენახა? მთებს შენც კი უყურებ აგერ.

ვახ. კი, მაგრამ სამსახურში ყოფნა მაინც სხვა არის.

ბეჟ. რა დაგიჯინია ეგ სამსახური, სამსახური? ოცდა ათი წელიწადი ვეყიალე, ჰამა არ მქონდა ჩემს ნებაზე და სმა! და რა გამოვიტანე? ნიკრისის ქარები, სხვა არაფერი!...

ვახ. პენსია?

ბეჟ. შვიდ თუმან-ნახევარი წელიწადში, გინდა ყოფილა, და გინდა არა!.. გადამეკიდა ი მამა ოხრის შვილი, პოლკის კომანდირი: ხან აქეთ მიკრავდა თავს და ხან იქით. სულ ტყეს მაჩეხიებდა, თრევამ წელში გამწყვიტა. ვიფიქრე: აქ დარჩენა ჩემი საქმე აღარ არის მეთქი.— ჩემი ანგარიშით საპენსიო ვადა გათავებული მქონდა და შევიტანე ასტავკა.

ვახ. მერე?

ბეჟ. მომიდვეს ხრიკი. ორი თვე გაკლია და არ გერგებაო! ვერ მიიღებ სრულ პენსიასო. მაშ შემასრულებიეთ ეგ დანაკლისი ორი თვე მეთქი!.. მაგრამ ვინღა გამცა ხმა? ასტავკას დაბრუნება აღარ შეიძლებაო. ამომძაუებიეს და გამომისტუმრეს ასე.

ვახ. კი, მაგრამ ხათრი და პატივისცემა მაინც მეტი გაქვს! რაღა შორს წავიდე? აი, ამ დღეებში, რომ დაიარა სოფელი დამსჯელმა რაზმმა, შენს სახლში ვერ შემობედა. აგიარა გვერდი და მე კი პირდაპირ მომადგა: „ამ სოფლიდან მოძრაობაში გარეული ორი გვემალება და, რადგან არ გვაძლევთ, უნდა ცეცხლი წაგიკიდოთ, დაგწვათ“-ო! ბიჭო! მე რა შუაში ვარ მეთქი? ძალაც თქვენს ხელშია დ. ბატონობაც მეთქი. წადით და მონახეთ! მე რას მერჩით მეთქი. მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ვერა შეეგონე რა, სანამ...

ბეჟ. სანამ?

ვახ. სანამ იმათი უფროსი მუდრეგ აფიცერი არ გავიხმე განზე და ოცდა ხუთ მანეთიანი არ ვუჩიჩბე! მაგრამ მაინც რომ ვეღარ მოვიშორე ყე. სანამ ბეღელი არ გაადეს, რომ ყველაფერი გამოეტანათ და მარანში არ ჩავიდენ...

ბეჟ. მარანშიაც ჩავიდენ?

ვახ. ჩავიდენ, მოახდევინეს ოცდა ათ კოკიანი, მოუსხდენ ქვევრის პირს და სვეს და სვეს! ხელოსანს ორშიმო მიეწოდებია და თავზე გადამტვრიათ მისთვის—ეგ რათ გვინდაო?

ბეჟ. აბა რით იღებდენ?

ვახ. გაიძვრეს თურმე, ი მაღალ ყელიანი ჩექმები რომ აცვიათ, და იმითი იღებდენ, სანამ არ იჯერეს გული. რაც დალიეს — დალიეს, რაც არა და გააუწმინდურეს ბ გაუდგენ გზას.

ბეჟ. არ გიჩივლია?

ვახ. მეორე დღეს გადავიდა ჩემი ალექსანდრე უფროსთან ბ უთხრა ყველაფერი, მაგრამ...

ბეჟ. მაგრამ რაო?

ვახ. ბრიყვები არიანო, აბშიკა მოსვლიათო, თვარამ თქვენთან რა უნდოდათო? ვუბრძანებ, რომ აწ აღარ გაბედონო. მინავათ პოჟოლუსტო! თურმე რომ გადავებუგეთ, მაშინაც ასე მეტყოდენ: „მინავათ პოჟოლუსტო!“ და ამითი გამითავებდენ საქმეს.

ქალ. ხმა (გარეგან) ცეცხლი! ცეცხლი! წაუკიდეს სახლს. (წამოცვინდებიან) გვიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანი!

ბეჟ. და **ვახ.** სად გაჩდა? სად?

ალექსანდრე (შემოიჭრება) რა ამბავია, რა ამბავი?

ხმა (გარეგან) მიშველეთ, მიშველეთ! ნუ ამხდით ნამუსს!

IV

იგინივე, **ალექსანდრე** და **დათია**

დათია. არაფერია, არაფერი! გადარეული ყვირის.

ყველა. ვინ გადარეული?

დათ. წვერაძის ცოლია!.. ამას წინათ მივიდნენ ყაზახები, სახლი დაუწვეს და ეგეც იმდენ ხალხში გააუპატიურეს ძაღლივით... გადავარდნილი შვილი რომ გყავს, სად იმალება, რად არ გვეტყვიო... გადაირია და მასუკან აგრე დადის გიჟათ. ხან ერთს შეუვარდება ეზოში და ხან მეორეს და სულ მაგრე გაიძახის. აი დასწყევლოს ღმერთმა, საიდან სად მოსულა აქ?

ბეჟ. ჩვენ კი გულები გადმოგვტრიალდა და!

ვახ. მეც ისე მგონია, თუ ამ სასახლეს წაუკიდეს ცეცხლითქო.

ალექ. ოჰ, უბედური! (დათიას) რა გაცი-

ნებს? თუ ღმერთი გწამს, ღამე გაათევინე! ამისთანა ამინდში ნუ გაუშვებ!

დათ. ბაწრითაც რომ დაბამთ, გაჩერდება? ეგ სულ მაგრე დაწანწალობს მთელი ღამე. ახლა წასული იქნება... აქ კი აღარ მოიცდიდა.

ალექ. წადი, ეგები დაეწიო... ნუ გაუშვებ, თუ ღმერთი გწამს!

დათ. ახლა იმას უნდა გამოუდგე?

ხმა (კარედან) ცეცხლი, ცეცხლი!! გამიშვით, თქვე ძაღლებო. გა...

დათ.—ეჰ, საიდან იძახის... (ბეჟანს) თქვენსას ჩასულა.

ბეჟ. ცოლშვილი არ შემიშინოს, ჩაირბინე ერთი!

დათ. არა, დიდხანს არც იქ მოიცდის. ერთს დაიძახებს და გაუდგება გზას.

ალექ. შვილი სადღა არის მაგისი?

დათ. აფრასიონი? გადავარდნილია, ტყეში იმალება. მოუყრია თავი სხვა და სხვა გადავარდნილებისათვისაც და აღარავის ზოგავს: არც მტერსა და არც მოყვარეს.

ვახ. ასე გაუკითხავათ?

დათ. მე ვინ გამიკითხა, რომ მე სხვა გავიკითხოვო? სახლი აღარ მაქვს და კარიო. ოჯახი ნამუს-ახდილი და მეც სასიკვდილოთ დამდევენო.

ბეჟ. შენ რა იცი მერე? სად გინახავს?

დათ. როგორ არ მინახავს? ორჯერ მოვიდა ჩვენ სოფელში, ხარჯი წაიღო.

ვახ. მერე, ვერ დაიჭირეთ?

დათ. მოდი და დაიჭირე!.. თან ჯარი ჰყავდა დაიარაღებული და მარტოც რომ ყოფილიყო, ხელს მაინც არავინ ახლებდა. გლეხს არც არაფერს ის ერჩის და არც გლეხები ერჩიან! (ზორადან მოისმის წვიდ-კვიდის ხმა)

ბეჟ. ჩუ, ხმაურობაა სადღაც! (ეველანი მიეცვივდებიან ფანჯრასთან და უურს უგდებენ)

ვახ. ქალების ხმაა, ალბათ ვინმე მოუკვდათ.

დათ. არა, ამ კვირაში სულ მაგრეა! ვისმეს დაეცემოდენ ასაკლებად, ცეცხლს წაუკიდებდენ და ის იქნება.

ალექ. მართლა!.. აი კიდეც მოსჩანს ცეცხლი, ჩვენს პირდაპირ გაღმა იწვის ვიღაც.

ბეჟ. მერე და ამისთანა დროს როგორ იწვის, ასე ბდღიალ-ბდღიალი რომ გააქვს?

ბეჟ. ხის შენობაა?.. მერე იმათაც იციან ხერხი: მიასხამ-მოასხამენ ნავთს და მერმეთ მისცემენ ცეცხლს, რასაკვირველია, აბდღიალდება.

ვახ. ცოლ-შვილი? სად უნდა წავიდენ ამ სიცივეში? ზაფხული რომ იყოს კიდევ ჰო!.. ტყეში მიიმალებიან.

დათ. ცოლ-შვილს რას დაგიდევენ?!... ისენიც სადმე მეზობლისას შეიფარებენ თავს. ნეტავ ვინ უნდა იყოს?

დათ. (გაიხედავს) უჰ, ეგ დარაძის სახლია! ვაი უბედური.

ალექ. რას ერჩიან?

დათ. გაკეთებული გლეხია და ისენიც ამოარჩევდენ.

ალექ. რათაო?

ბეჟ. ტყვილა, ისე, რომ ხალხი შეშინდეს! ეჰ, ჩვენც ბევრი სოფელი დაგვიწვავს დაღესტანში.

ვახ. მოდი და ნუ შეგეშინდება შენ... ესეც შენი ახალი ზოძრაობა!.. (გამობრუნდება თავის ქნევით)

ფ ა რ დ ა



ჩემი ჰანგი

(ვუძღვნი ბ. ტანტაძეს)

სულის ქვითინი... ცრემლების ფრქვევა,
დალახვრულ გულის მწარე ტკივილი;
სატრფოს გოდება, ურვა-წუხილი,
ფიქრით მოკლულის დრტვინვა-ჩივილი;
ცილის წამების უმწეო მსხვერპლის
ბედის ყვედრება გულჩათხრობილი;
ნამუს-ახდილის ქალწულის სულთქმა,
ზე-კაცის რწმენა კიცხულ-გმობილი;
მეპრძოლთ საფლავთა უტყვი ღაღადი,
მრუში ტრფიალი სატრფო-მიჯნურის;
შებღალვა წმიდა საწირავისა,
ულმობელობა მტრობის და შურის,
ძაფად ჩამოვქენ და საგოდებელს
ჰანგად დავუდე ჩემს ჩანგს მკვნესარეს...
მოვსთქვამ და მსმენელს ჩემის გლოვისას
გულში ვუღვივებ ცუცხლსა მგზნებარეს!!

კიკნა-ფშაველა

* * *

ვიშ, სიყვარული.

რა კარგი იყო, როგორი წმინდა?! თვით მთის ანკარა წყაროც კი ჰკარგავდა სიწმინდეს მის წინაშე.

ვიშ, სიყვარული!

მზის ოქროსფერ სხივებზე უფრო ბრწყინვალე იყო, თვალს იტაცებდა.

ვიშ, სიყვარული?!

ნაზი და ნარნარი, ჰაეროვანი და მსუბუქი, ლამაზი და მშვენიერი!

იყო ასეთი!

ყოველი სულდგმული მისკენ მიისწრაფვოდა, თაყვანსა სცემდა, ღმერთად სახავდა!..

და იყო განყენებული ასეთი სიყვარული... ხოლო ეშმაკურ გონებით აღჭურვილმა კაცმა, რომელიც მსუნაგათ ყველას და ყველაფერს ეპოტინებოდა, მოინდომა სიყვარულისაც მისაკუთრება.

შორით დაუწყო ფარისევლური ალერსი, ალერსი რომლითაც თვით დემონიც-კი მოიხიბლებოდა!

და დაიახლოვა კაცმა ეს სიყვარული... თვისი ტლანქი და უშნო ხელი ჭუჭყით, გასვრილი, გარს მოახვია ნაზსა სიყვარულს...

გააყრეოლა მსუბუქ სიყვარულს! და კაცმა კი, რაკი ხელთ იგდო და საკუთრებად მიიჩნია, ოფლით გაზუზვნილ ქონიანი ტუჩებით ტლანქად აკოცა მის ლამაზ ტუჩებს...

ვიშ, სიყვარული! ფერი იცვალა! თითქოს თავის დღეში არც ყოფილიყოს ისეთი, როგორიც იყო იგი წინად—ამ მომაკვდინებელ კოცნამდე... და... გაიმურა. გაჭუჭყიანდა, დამძიმდა და უშნოთ გასუქდა და დაეშვა ტალახიან წუმპეში, გარყვნილების უფსკრულზე ოდესღაც წმინდა, ხოლო ახლა-კი მახინჯი და გამურული!..

ვიშ, სიყვარული! **ვანო ბარველი**

ინგილოური ლეგენდები

2

თავების ციხე

სწორედ მეორედ მოსვლას მოგაგონებდათ შახაბაზის შემოსევა საინგილოში, არაფერი მის მსგავსი არ გამოეცადნა და ენახა ამ ტურფა ქვეყანას. მთელი მხარე ცეცხლის ალში იყო გახვეული, იწოდენ მთელი სოფლები, იწოდა სახლ-კარი, ავეჯეულობა, სარჩო-საბადებელი, ბაღ-ვენახები, ყველგან კვამლისა და ცეცხლის ულმობელი ხელი პარპაშობდა, მათი ალები ზეცას ებჯინებოდა და წითლად ღებავდა ცის ტატნობს. დიდებულნი ტაძარნი ტურფა სავანენი ძწირ ბერ-მონაზონთა შებღალულ-შებილწულნი ნანგრევებს-ღა წარმოადგენდენ. ერთს დროს მიუვალნი ციხე-სიმაგრენი კიდევ მტრის ულმობელს ხელს სრულიად დაერღვია და შეემუსრა. ყველგან დახოცილთა, გვემულთა და დაკოდილთა გვამები ეყარნენ, ჰაერში საზარელი სუნი ტრიალებდა უპატრონოდ დარჩენილ მკვდართა, რომელთაც გაუმაძღარი ყვავ-ყორანნი თავზე დასჩხავ-დასტრიალებდენ. კვნესა, ტირილი, ოხვრა, გოდება გაისმოდა კიდით-კიდემდე, ბედშავ ხალხის მწუხარება ზეცას სწვდებოდა, უფლის მადლს ეპკურებოდა, მაგრამ მტარვალ შახაბაზის ღვარძლიანსა და გესლიანს გულს ძვრასაც ვერ უშვრებოდა. უსაზღვრო იყო შახაბაზის მრისხანება, აღარაფერი არ დარჩა შეუმუსრავი, შეუბილწავი და პირქვე დაუმხობელი, ყოველივე შთანთქა მტრის შეუბრალებელმა და გაუმაძღარმა ხელმა. მტერს სურდა ქვა-ქვაზედაც აღარ დაენარჩუნებინა მთელს საინგილოში და. ისე გაენაცარმტვერებინა მთელი ქვეყანა, რომ ქართველის ჭაჭანებაც-კი აღარა ყოფილიყო.

შახაბაზი დღესასწაულობდა, ხარობდა და განცხრომას ეძლეოდა. წადილი აუსრულდა, მთელი საინგილო განიორწყლებული, აკლებული და აწიოკებული, მის ფერხთა ქვეშ იყო გართხმული და სულ-ამოხდილი. საინგილოში ქართველთა ხსენება აღარ დარჩა, ყველა მოიდნო, ინაცვალა და თავს შემოივლო ულმობელმა მტრის ხელმა. ჰიგანტთა სამარეს ემსგავსებოდა მთელი საინგილო, სამარისეური სიჩუმე ჰსუფევდა ყველგან და მხოლოდ აქა-იქ ნადირთ ღმუილი-ღა თუ არღვევდა გამეფებულს მდუმარებას.

მაგრამ არა, ჯერ კიდევ ყველანი არ ენაცვალებინა შახაბაზს. სოფელ ფიფინეთის მახლობლად დაბანკებულს მის მხედრობას თან ახლდა 40 ათასი ტყვე ინგილო, რომელნიც ჯერ კიდევ არ გამოესალმებინა სიცოცხლეს.

დიად, ჯერ კიდევ არ გამოესალმებინათ სიცოცხლეს, რადგანაც შახაბაზს უნდოდა მათის ნეშთისაგან ძეგლის აგება ნიშნად თავისი ძლიერებისა, ნიშნად საინგილოს აკლება-აოხრებისა და მის დედამიწის ზურგიდან აღგვისა. უნდა აეგო ძეგლი არა ჩვეულებრივი და უმაგალითო. შახაბაზს გადაწყვეტილი ჰქონდა ტყვეთათვის თავები დაეყრევინებინა და მათი თავებისაგან ციხე აეშენებინა მდინარე ფიფანის მახლობლად და მით უკვდავ ეყო თავისი სახელი და ხსენება.

თქმა და ასრულება ნათქვამისა ერთი იყო. ჩქარა მდინარე ფიფანი მოწამე გახდა არაჩვეულებრივის ბარბაროსობისა, მისი ანკარა, სპეტაკი, მთლად ქაფად გადაქცეული თეთრი ზვირთები წითლად შეიღებნენ და მოიწამლენ. მის ნაპირს მწყობრად ჩამწკრივებული ჯალათნი მარჯვედ იქნევდენ ცულებს, თვალის დახამხამებაზე თავი ცალკე გორდებოდა და სხეული კიდევ ფართხალით მეორე გვერდზე წყლისაკენ მიგორავდა. სისხლი ღვარად მიდიოდა, სხეული წყალს მიჰქონდა, სძირავდა და შორს-შორს თავის წიაღთა შორის უჩინარს უფსკრულებში ჰმალავდა და ქვეყნის თვალს აშორებდა. სისხლში მოსვრილი, თვალებ დახუჭული ტიალი თავები-კი გროვა-გროვად მიჰქონდათ მდინარის ნაპირზედ ამართულ პატარა გოროაზე დაგეგმილ ციხის ასაშენებლად. სადაც შახაბაზისაგან დაყენებული კალატოზები არაჩვეულებრივ კედლებს აშენებდენ. კედლებს აშენებდენ ადამიანთა თავებისაგან, თავები ქვის მაგივრობასა სწევდენ, ცრემლები და მწუხარება ხალხისა კიდევ კირის მაგივრობას.

ტყვეთა დენას დასასრული არა ჰქონდა, წყება-წყებაზე მოჰყავდათ, ხელებ-გაკრულნი, შიმშილისაგან მიხრწნეულ-მისუსტებულნი, უსიტყოთ ემორჩილებოდენ თავიანთს ბედს.

აგერ ახალი წყება მოიყვანეს, ტყვეებს წინ მოუძღვით ასწლოვანი მოხუცი-ბერი ბელაქნის ღვთის მშობლის სავანისა. მარჯვედ და უშიშრად მოაბიჯებს სათნოებისა და მშვიდობიანობის მქადაგებელი, ხალხის ვაებას, ჭირს და ვარამს ისიც ჩაუთრევია. მხცოვანს მოხუცს, მთლად თეთრად გადაპენტილს, თმა-წვერში სიბერისაგან ყვითელი ხავსი მოჰკიდებია, ჩანაოჭებული სახე გარკნებია, მაგრამ გული ჯერ კიდევ ყმაწვილურად ერჯის და თან უშველებელ ყავარჯენი მოაქვს 15 წლის ახალგაზრდასავით.

მოვიდა, მაგრამ ჯალათების წინ-კი არ გაჩერდა, არამედ პირდაპირ შახაბაზისაკენ გაემართა, მდაბლად დაუკრა თავი, წელში გასწორდა და გაბედულად მოახსენა:

— იკმარე, შახაბაზო, ამოდენა უდანაშაულო ხალხის სისხლი, ღმერთი გადღეგრძელებეს და ჯანსაღს გამყოფებს.

— დიდებულს მბრძანებელს ირანისას ვინ ჰკადრებს მაგდენ კადნიერებას, დაიღრიალა შახაბაზმა. ჯალათნო! როგორ გამოგპარვიათ ეს უსჯულო ნადირი, ჩქარა თავი მოჭკვეთეთ და ნიშნად სასჯელისა ძაღლებს გადუგდეთ მაგის გვამი.

მყისვე მისცვივდენ ჯალათნი, ურჩი მოხუცი კინწის კვრით წინ გაიგდეს, შეუკრეს ხელ-ფეხი, დასცეს დედამიწაზე და ცულები დაუშინეს. მაგრამ ამაოდ, გარკინავებული სხეული მოხუცისა ნაფოტისავით ისროდა ცულსა და მოხუცი უვნებლად რჩებოდა. მრისხანებდა შახაბაზი, კბილებს აკრაჭუნებდა, დორბლებსა ჭყრიდა. ბრძანება გასცა ფიცხლავ ცულები გაეხურებინათ და ისე დაეშინათ მოხუცისათვის.

საჩქაროდ რავდენიმე გახურებული ცული დაუშინეს ჯალათებმა მოხუცს და თავი სხეულს გაჰყარეს. გახარებულმა ჯალათებმა მსწრაფლ ხელი დასტაცეს მოხუცის თავს და კალატოზებს გადაუგდეს კედელში ჩასატანებლად. თავი სხეულს გაჰყარეს, მაგრამ ამითი შახმა წადილს ვერ მიახწია. კედელში ჩატანებული თავი მოხუცისა არ გაჩერდა, თვალები ზეკისაკენ აღმართა, გრძელი წვერი შეაცანცარა და ხმა მაღლა ლოცვას მოჰყვა. ყველა მიწყნარდა, სმენად გადაიქცა და გაფაციცებით ციხის კედელზე მდებარე მოხუცის თავისკენ გაიხედა. მოხუცის თავმა ლოცვა გაათავა, ტოკვა დაიწყო და სამჯერ გადმოიყვირა:

— იკმარე მტარვალო, იკმარე ჯალათო! გახსოვდეს, რომ მაღლა ზეცაში შენზე ძლიერი ღმერთია და მაგდენ უდანაშაულო ხალხის ტანჯვასა და სისხლს არ შეგარჩენს.

ცა მოიქუშა, ჭექა-ქუხილი წამოვიდა, მიწა შეინძრა, ჯალათებს ცულები ხელებიდან გასცვივდათ, ტყვეებს შეკრულ-შებოჭილი ხელები

გაეხსნათ, ნახევრად აშენებული თავების ციხე ჩამოინგრა.

შახბაზი შედრკა და შეძრწუნდა, ბუნებისა და მოხუცის მრისხანებამ შიში დაჰბადა მის გაქვავებულს გულში, მოლბა, მოიტეხინა და ფიცხლავ ბრძანება გასცა:

— გაანთავისუფლეთ ყველა ტყვენი და ნება მიეცით დაუბრუნდენ თავიანთს სახლ-კარსა და ადგილ-მამულს.

გადარჩა საინგილო, სრულიად ამოვარდნასა. ტყვეები ცას დაეწივნენ და მადლი შესწირეს უფალსა და მოხუცს წმინდან ბერს და ის ადგილი, სადაც სხვებთან ერთად მათი მხსნელი წმინდა ბერის თავიც მოჰყვა, წმინდა ადგილად ჩარაცხა ხალხმა. მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა, ბევრმა ქექა-ქუხილმა და გრგვინვამ დაჰბერა კიდევ საინგილოს, მაგრამ ხალხის ხსნოვაში ღრმად ჩაბეჭდილი მოხუცის ამბავი არ აღმოფხვრილა. დღესაც მადლიერნი ჩამომავალნი ყოველწლივ მიდიან ამ წმინდა ადგილს, ლოცულობენ, მსხვერპლსა სწირავენ და მადლობას უხდიან იმ წმინდა ბერს, რომლის წყალობითაც საინგილოს ქართველობა გადარჩა სრულიად ამოვარდნასა და გაქრობას.

ზ. ედილი

მ ო ვ ა ლ რ ო

დედამიწის ლაფიან ზურგზე, შეხუთულ შხამიან ჰაერში, შავ-ქსელით გადახლართულს ბადეში ცოცავენ ადამიანის მსგავსნი პიროუტყვნი, უმიზნონი, გრძნობა-დაოსებულნი, შიშველნი, ბინძურნი!..

გარს წყვდიადია, სინათლე დახშულია!..

ხანდისხან ბნელეთში მშვენიერებით, თავისუფლების სურვილით აღჭურვილი, ხალხის გოდებით შექმნილი, ბრწყინვალე ანკარა ცხოვრებისაკენ გატაცებული, ფაქიზი, მდიდარი სული გამოაშუქებს, ციცინათელასავით დაფრინავს წყვდიადში, გზას იკვლევს, ოდნავ ანათებს წუთიერ გაბრწყინვებით, ფრთებს შემოჰკრავს, აფრინდება, სურს მაღლიდან შავი ქვეყანა ნაპერწკალის ნათელით მაინც გაანბრწყინოს, ადამიანის გახრწნილი სული და მისგან შექმნილი დახავსებული ტბა გააშუქოს!.. მაგრამ გარს შემორტყმული ცხოვრების დაბლანდული ქსელი იხვევს თავის მახეში...

სისხლ-მსმელნი, ხარბნი, გაუმაძღარნი ობობანი ულებენ ბოლოს!..

როცა ცაზე ღრუბლები თავს მოიყრიან, ელვა-ქუხილი მიმოანათებს, ჭექავს დაბლანდულ ქსელში გახვეულთ შიში იტაცებს.

სასოება, სინდისი მხოლოდ მაშინ ელვიძებათ, მაშინ გრძნობენ სინანულს, რომ ქსელი დაირღვევა და ბინძურ ქვეყანას სინათლის სხივი მოხვდება! მაგრამ ჯერ არ დაუჭექნია, არ დაუქუხნია...

დრო-კი მოვა, ძალა განცხოველდება, ჰაერი ანდამატური ძალით გაიჟღინთება, იქუხ-იგრიალებს, ელვა განუწყვეტლივ დაბასრავს და გრიალ-შხუილით ფოლადის მსგავს სეტყვას დაგვაყრის!..

მაშინ ქსელიც დასწყდება და მისი შემქმნელიც გაისრისება!..

მერე, დიად ბრწყინვალებით, მზე სხივებს გადმოგვტყორცნის და მონებს, სულით მხდალთ ნეტარ ცხოვრების გზას დაგვანახვებს!.

გიორგი ფოცხოველი

ქართველ ახალგაზრდა პოეტთა ბედი

(მ ცირე შ ენ ი შ ვნ ა)

რავდენი ობოლი მარგალიტია ჩვენს ბოეზიის დარგში ჯერ კიდევ შეუშუშავებელი, მაგრამ მაინც ძვირფასი მომავლის მქონე, და შესაძლებელია მათის სახელით ოდესმე კიდეც იამაყოს ჩვენმა დარიბმა ლიტერატურამ. მაგრამ რა გგონიათ ამ მდგომარეობაში იშვება რამე? ათასჯერ სთქვეს და მეც ვიტყვი, არა გვეყვნს კრიტიკოსი და ისინი, რომელნიც ამ სახელს ატარებენ, რადგან ბუნდოვან ხალრთში ებმებიან. მათი საუბარი კრიტიკა კი არ არის, რომელსაც უნდა ვერწმუნოთ, არამედ ურუ ამოძახილი იმ სიტყვებისა, რასაც ჩასძახებს მას ერთი მხარე სრულიად უკანონოდ და შეუსაბამოდ.

აბა, რა უნდა გაკეთონ ჩვენმა ბოეტებმა ამ გვარ მდგომარეობაში? მათ არ აძლევენ გზას, სი-

ნათლეს... ბარ-უთვნელად არ ამხელენ მათ ცოდვებს და ხლართა ხლართადგე რჩება.

ეს გზა, რომელზედაც ძველი ჩვენი ქართველი პოეტები მოდიოდენ, სრულიად შეუსაბამოა დღევანდელ მდგომარეობასთან: განვლილ გზა ძველი ძველებმა, ახალ გზაზე ახალგაზრდებმა უნდა გაიარონ; მაგრამ სად არის ეს ახალი გზა? ნუ თუ აღვირი წაუუხსნათ ჩვენს ახალგაზრდა მგოსნებს და მიეუშვათ თავის ნებაზე, რაც მათ მოეწონებათ ისა სწერონ და მკითხველები-კი სადღაც კუნჭულში შეაშლიდეთ? რასკვირველია, ამითი მე ამისი თქმა არ მინდა, რომ პოეტს ჩვენს ნებაზე ვაყოლებინოთ ჩანგი. პოეტი—პუშკინისა არ იყოს—თვითონ ირჩევს ზრს თავის სიმდერებისათვის, ბრბოს არავითარი უფლება არა აქვს მის შემოქმედებაზე... მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნაშნავს, რომ ყველაფერი ცუდი უთუოდ უნდა მოეწონოს მკითხველს პოეტისა. პოეტის სიმღერა თვით მსმენელის გულის სიღრმიდან უნდა იყვეს ამოდებული, ამისდა შეფარდებით კიდევ მაღალი იდეალების მქადაგებელი. უამისოდ ეს სიმღერა კარგავს სრეთო ეურადღებას და მასსიურ მნიშვნელობას. წარსულ საუკუნეში ამ გვარად შესრულეს თავიანთი მოწოდება **აკაკიმა და ილიამ** დიად, ამათი ნაწერი სერთო გულის დუღილია ქართველთა ცხოვრებისა მეცხრამეტე საუკუნეში. გადაგვგით ფეხი მეოცე საუკუნეში. ცხოვრებამ ეტლად თუ ბევრად წინ გაიწია, მკითხველი ახალს ეძებს. ახალი ვერ უპოვია, ის, რასაც ჩვენი ახლანდელი პოეტები გვაწოდებენ, დიდი ხნიდან ნათქვამი და გამოქვეყნებულია, და არავითარ მიბაძვა-განმეორებას არ საჭიროებს.

როგორ უნდა შეეფერებოდეთ ამ ზრს, რომ ისეთი ნაწერი პოეტები, რომლებიც არიან **იასამანი, შანშიაშვილი, ბაბილინა, გ. ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე** და სხვები, ამავე მდინარეზე აქმნებიან ხვალაც, რაზედაც დღეს არიან. მწარე ფიქრია, რომელსაც ეოველი პოეზიის მოყვარული ადამიანი უნდა ჩაეფიქრდეს.

ზოგიერთ ახალგაზრდა პოეტს უკვე თავდადმა დამეებულსა ვხედავთ; ისინი ის მზე კი არ არიან, რომელიც მალე უნდა ჩაბნელდეს, გაუბრწყინვებლად. ვხედავთ აგრე, მაგრამ გონება უფრო მახვილად სწრის, მეეტით მეტი სიზარდო მათ, თუ კი ძალგიძთ, და სწორეთად ფრთის გაშლიან სულ-შეხუთული პოეტები.

არ შეესუმბუქების განა მათ მდგომარეობასა ის ცვლილება, რომ ეურნალ-გაზეთებში მეტი ადგილი დაეთმობოდეს უცხოელ ახალ მიმართულების პოეტთა განხილვას. სასმისო მსალა საკმაოდ მოიქებნება ეველგან. ბარალელი უცხოელთა და ქართველთა ცხოვრებისა ტიტანი ნაოელს მოგვეენს ამ განსხვავებას, რომელიც უნდა არსებობდეს უცხოსა და ქართულ პოეზიას შუა. ამგვარად მაინც შეეეტანოთ წყალი ჩვენის პოეტების დახელოვნებაში, სანამ რომელიმე ბელინსკი არ გამობრწყინდება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენს კრიტიკულ უკრიტიკო მდგომარეობაში. ბედი ქართველ ახალგაზრდა მგოსნებისა ხაზ-გასასმელი უნუგეშო ბედია.

ნარი

* * *

შემოგეტქეროდი... ნეტარებით იმსებოდა ტანჯული გული,
შენსა შვენებას მე ვუეტქერდი აღტაცებული,
შენ გადმოგიბედი, გლოცულობდი მუხლმოდრეკილი
და შენგანთ ტკბილ-ქმნილს გულს ეგონე ცოი მოგ-
— ||ლენილი.

შენს სიტურფეში მე ვხედავდი დიადსა ძალსა,
დიადსა სულსა—სრულსა ეოველ სათნოებითა,
ამად-მიხდილი, განწირული ტრუ საწუთროსგან,
შენ შემოგეტქერდი განუზომელ სასოებითა!

—

დავგმე, დავწეევლე, უარ-ვეყავ ამ ქვეენად ეველა,
მათაც უარმეყვეს და განმდეგნენ, არა ენდვლობდი,
შენსა თვალებში მეხატოდა ცა და ქვეეანა,
კემონებოდი, შენთან ეოფნას მხოლოდ ვნატრობდი!..

— ||ეოდა

შენშიც მოვსტეუდი... ეგ სიტურფე თურმე ეოგრძნეულთა მახე, კეტთათვისა დამზადებული,
შენი დამიდი, ეგზომ ტკბილი და მომხიბლავი,
თურმე ეოფილა საწამლავი შეზავებული!..

—

მშვიდობით ტურფავ! წეეეულ იეოს შენი მშვენება,
თუ შეების ნაცვლად კაცს მოუტან ტანჯვა-ვაებას,
თუ ჯერ მოჭხიბლავ, მიიტეეეს შენი მშვენებით,
მერე ბეესლს ასმევ, თავს მოახვევ ოხვრა-ვაებს!

— ‖შორდები.

მშვიდობით ტურფავ! დაგკმაბ შენცა და კაკ-მაგრამ სიფლავშიც-კი დამტანჯავს მის მოგონება, რომ სხვა შეგონე, სხვა გამოსდეგ, შე-კი შიმაჩნდა სულისა სარკედ გარეგსული შენი მშვენება!

სევდია

დიეტია

(გაგრძელება. იხ. „თეატ. და ცხოვ.“ № 21)

მოდელი ვარჯიშობისა. აი ბირველი მოდელი ვარჯიშობისა, რომელსაც გვაძლევს ცნობილი ფიზიოლოგი ერნესტ ბოსკ თავის შესანიშნავ „სუნთქვის წიგნი“-ში (Ernest Bosc, Le Livre des Respiration, გამოცემა Chamuel). „ჭერი იმდენად უნდა შეისუნთქოთ, რომ თქვენი ფილტვები კარგად კიბესოს. ბირველადვე ამის მიხწევა, რასაკვირველია, ძალიან ძნელია, და მხოლოდ რვადენიმე ხნის სისტემატიური შრომის შემდეგ მიაღწევთ. აი როგორ უნდა იმუშავოთ. შეისუნთქეთ ჭერი, ბირველ ხანებში მარტო ექვსი წამის განმავლობაში, ე. ი. შესუნთქვის დროს თვალეთ (გუნებაში, რასაკვირველია) 1, 2, 3, 4, 5, 6. დათვალეთ ამდენივე (1, 2, 3, 4, 5, 6) შესუნთქებულის გასაჩერებლად. ე. ი. მანამ ხელ-მეორედ ექვსს არ დასთვლით—არ გამოსუნთქოთ, შემდეგ, როცა ჭერი გაჩერებული გექნებათ თქვენს ფილტვებში ექვსი წამის განმავლობაში, **გამოსუნთქეთ**; ეუბვს კარეშეა, რომ ამ გამოსუნთქვასაც ამდენივე დრო უნდა მოახმაროთ (ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი). ეურადღება მიაქცეთ, რომ ისე არ მოხდეს, როგორც ძალიან ბევრს ეშორთვა: შეისუნთქავენ, მაგალითად, ექვსი წამის განმავლობაში და გამოისუნთქავენ ხალმე ხუთი ან ნაკლებ დროში. რადა თქმა უნდა, რომ ბირველ ხანებში ძნელი იქნება, შეტადრე გამოსუნთქვა, მაგრამ თუ ეურადღებით ივარჯიშებთ, ძალიან მალე ისწავლით.

როცა ამ ბირველ ვარჯიშობას კიეკვეთავთ, ე. ი. შეისუნთქავთ 6 წამს, შეჩერდებით ექვს წამს, გამოსუნთქავთ ექვს წამს შემდეგ მეუმატეთ წამეების რიცხვეები, მაგალითად ექვსი წამის მაგივრად გახადეთ 8, ე. ი. შეისუნთქეთ 8 წამის განმავლობაში, შესდეგით 8 წამი, და გამოისუნთქეთ 8 წამი. როცა ამასაც კარგად კიეკვეთავთ, კიდე მეუმატეთ რიცხვი, გახადეთ 10, 11, 12, 13, 14, 15, რავდენიც შეეძლებათ“. კარგმა მსახიობმა უნდა იცოდეს თავისუფლად შესუნთქვა, შეჩერება და გამოსუნთქვა, 25 წამის განმავლობაში ე. ი. თვალეთ სამივე შემთხვევაში 25-მდის. ეს ვარჯიობა, რადა თქმა უნდა, ეველასათვის კარგია. სასურველი იქნება, რომ მანამ ასეთ ვარჯიშობას დაიწყებდეთ, გაალეთ თვალჯრები, გასუფთავეთ ჭერი, და თუ კარგი დღეა, შეეიძლიანთ თვალჯარა დია დასტოფოთ ვარჯიშობის დროს. ეისაც საშუალება ნებას აძლევს, ძალიან კარგი იქნება ასე ივარჯიშოს სადმე ბალში, ან ეზოში, სუფთა ჭერზე. აბრედვე, უნდა იდგეთ გამოეშიმული, თავისუფლად, რადგან მოხრილი ადამიანი თავის დღეში ვერ ჭესუნთქავს კარგად ან კიდე გულადმა დასწეთ რომელიმე საწოლზე (ულეიბოთ). თქმა ადარ უნდა, რომ ასე უნდა ივარჯიშოთ მძიმედ, ეუჩქარებლივ, ზომიერად, ერთგვარად. ჭერი (მსახიობმა) უნდა შეისუნთქოს ცხვირის ნესტოებით და გამოისუნთქოს პირით, მაგრამ პირი ძალიან არ უნდა გაადოს, საკმარისია პირის გაღება იმდენად რავდენადც პაპიროსის ბოლის გამოსაშვებლად.

მეორე მაგალითი: აიღეთ ანთებული სანთელი და დადექით, ან დაბრძანდით, ეს იმიზეა დამოკიდებული სანთელი როგორ სდგას, მე გირჩევთ სანთელი ისე დასდგათ, რომ თქვენვე ეეხზე მოგიხდეთ გამოეშიმელს დგომა, (თუ ასე რამე შემოხვევეთ ვერ მოიხერხეთ და სანთლის წინ დაჯდომა მოგინდათ, დაბძანდით მაგალ სკამზე, ზურგი მიაუფლეთ სკამს და დაიწყეთ ქვემო ადწერილი ვარჯიშობა) გაშოთქვით სიმღერით რომელიმე ნოტაზე (მაგალითად დო) ასო ა. ბირველად სანთელი ჩაქრება, არ ინადგდოთ ამიზე, მაგრამ რავდენიმე ხნის შემდეგ სანთელ მხოლოდ ოდნავ დაიწეებს ტოკვას, თქვენც სწორედ ამას უნდა მიაღწიოთ, რომ სანთელმ ოდნავ იკანკალოს. როცა ამ ბირველ ვარჯიშობას შეისწავლით, შემდეგ გაალდით მთელს გამაზე. ესე იგი გამოთქვით სიმღერით ასო

ა ჯერ დიზე, შემდეგ რე-ზე და აგრე ჩადით სა-დამდისაც შეგიძლიანთ. რადა თქმა უნდა, ეს გამმა უსუნთქველივ უნდა იმღეროთ. ამ ორ ვარჯიშობისა-თვის დღეში 15 წუთი სრულიად საკმარისია. ცნობ-ებელმა მსახიობმა დელ-სიდიმ (ამბობს ლეგუვე) მიახწია იმას, რომ იმღერა ორჯერ გამმა უსუნთ-ქველივ ანთებულ სანთლის წინ და სანთელე სრუ-ლიად არ ინძრეოდა, იმიტომ რომ იგი უშვებდა ბერიდან მხოლოდ იმდენს, რავდენიც საკმარისი იყო თვითეულ ნოტის გამოსთქმელად. რასაკვირველია დელ-სიდიმ ამის უტყბ არ მიაღწია, არამედ ხანგრ-ძლივ სისტემატიური მუშობით. იმუშაეთ, და თქვენც მიაღწევთ.

სუნთქვა კითხვის დროს. როგორც შემ-დეგში ვნახავთ, სუნთქვა კითხვის დროს ისეა საჭირო. ერთი აზრი, ე. ი. ერთი წინადადება, რომელშაც გამოხატულია ერთი აზრი, უნდა გამოთქვას უსუნთქველივ და ერთის ხმით. აგრეთვე თუ რომელიმე აზრის გამოსთქმელად რა-ვდენიმე ფრაზა არის მოხმარებული, ესე იგი დიდი აზრის განსავითარებლად ყოველთვის უნდა ეძებოთ დიდი აზრი და იგი სთქვათ ერთის ხმით, დანა-რჩენ ფრაზებზე ხმა უნდა გამოიცვალოთ; უნდა ეუმალოთ თუ დაუბალოთ, ამაზე შემდეგში ვი

სათეატრო ამბები

ქართული საზაფხულო თეატრი

გამოსაცდელი წარმოდგენა. ქართ. დრამატ. საზოგადოების გამგეობა მოწადინებულია ქართულ სცენას ახალგაზრდა ძალნი შესძინოს. სწორედ ამ მიზნით, სამშაბათს, 1 ივნისს, გაიმართა გამოსაცდელი წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობდა ცხრა დებიუტანტი და რომელსაც დაესწრენ მოწვეული პირნი—მწიგნობარნი, მსახიობნი და სხ. წარმოადგინეს ჰაუპტმანის „მზის ამოსვლამდე“ მე-5-ე მოქ., „მეზობლები“ ტრ. რამიშვილისა—მე-4-ემ ოქ., და „ვაის გავეყარე—ვუის შევეყარე“, მე-2-ე მოქ., ვ. გუნიასი. ყველა პიესაში თამაშობდენ თითქმის ერთი და იგივენი, რითაც მაყურებელს საშუალება ეძლეოდა ერთი და იგივე პირი სხვა და სხვა როლში ენახა და მსჯავრი დაედვა. სამწუხაროდ თითქმის ვერც ერთს ვერ შევნიშნეთ განმაახლებლის ძალი. ასეთი, ჩვეულებრივი ახალგაზრდანი ჩვენს სცენას ბევრს ვერაფერს შესძენენ. ყველაზე უკედ ეჭირათ თავი და ცოტა სასცენო უნარიც შეეტყოთ ქქ. წუწუნავისა და ლოლუას, არა უჭირდარა აგრედვე ქ-ნ გიგაურს.

ვაჟთაგან ისეთი ვერავინ შევნიშნეთ, რომ რისამე შექმნა შეეძლოთ: ჩვენს სცენას ამჟამად საშუალოზე მაღლა მდგომარე თუ არა, საშუალო ნიჭის ახალი მსახიობი მაინც ეჭირვება. თუ მუშაობა არ დაიზარეს, შემდეგში შეიძლება როგორმე გამოდგენ ბ.-ბ. ვანელი, ლოდაძე, და მამფორია.

მოთეატრე

აკაკის ლექცია. ოთხშაბათს, 2 ივნისს, ჩვენმა მხცოვანმა მგოსანმა აკაკიმ წაიკითხა ლექცია „ქართული არქეოლოგიური ნაშთები“. ბატონებულ ლექტორს საზოგადოება ტაშის ცემით შეეგება და მხურვალე ტაშითვე დაჯილდოვა ლექციის კითვებისს. საყვარელმა მგოსანმა ამავე საღამოს წაუკითხა საზოგადოებას თავის ახალი ბოემა, რაც საზოგადოებამ აღტაცებით მოისმინა.

სახალხო სახლი

კ. ფოცხვერაშვილის კონცერტი, რომელიც გასულ კვირას იქმნა განმეორებული ზუბალ. სახალ. სახლში, ნამდვილი დღესასწაული იყო მუსიკისა. ბლომად შეკრებილი ხალხი, ახალგაზრდა კომპოზიტორის კ. ფოცხვერაშვილის გამოცდილ-კაბედული საღოტბარო ჯოხი, საუცხოოდ შესრულებული „გოგონა“, „მიყვარს ფაცხა მე მეგრული,“ „მურმან-მურმან“ და სხ. აგრეთვე „ბაყ-ბაყ დეკეს ბრძოლა ამირანთან“, ად. წუწუნავას-მიერ მშვენივრად დადგმული ცხოველი სურათებით, საოცველთაო აღტაცებას იწვევდა დამსწრე საზოგადოებაში. ჩვენის ჟურნალის მკითხველთ უკვე მოკლედ გავაცნეთ კ. ფოცხვერაშვილის სიმუსიკო ნაწარმოებნი, ამიტომ აქ ადარ განვიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ სახალხო სახლში გაცილებით უკედ იქმნა შესრულებული.

ხალხმა იცნო მშობლიური ჰანგი, თავისი ნიჭიერი მუსიკოსისაგან შემუშავებულ-შესურდებული და გულწრფელი მადლობაც გამოუცხადა ტაშით.

მართალ-და სულიერად მკვდარი უნდა იყოს ერი, რომ ამისთანა ნიჭიერ კაცს ხელს არ უწყობდეს სწავლის დასასრულებლად.

კ. ფოცხვერაშვილს აუცილებელი სიმუსიკო ნიჭი აქვს და დირსია, რომ სიმშობლო მუსიკის მოუკარულთ მეტი ყურადღება მიაქციონ.

როგორც შევიტყეთ, კ. ფოცხვერაშვილს სრული მუსიკალური განათლება არ-კი აქვს მიღებული,—სტიპენდია უნდა მიეცთ და ზოგიერთა ბიერებმა ჩაშალეს საქმეო. ასე რომ არა ეოფილიო, საკვირველი ის იქნებოდა: წარსულში ჩვენი ქვეყანა მეშურნეობამ მიასიკვდილისბერა და ახლაც რომ ამ შურმაკ არ გვიმსხვერპლოს—არ შეიძლება.

კ. ფოცხვერაშვილის ბიოგრაფიულ ცნობებს შემდეგ დებეჭდავთ.

მზე-ბვრიტა

ელ. ჩერქეზიშვილის თარსონობით გამართულმა წარმოდგენამ გასულ ორშაბათს ზუბალაშვილთა სახალხო სახლში საუცხოოდ ჩაიარა. წარმოდგენილ იქმნა „ფუული და ხარისხი“ ანჩიანისა და „ჯერ დაიხოცენ და მერე დაქორწილდენ, რ. ერისთავისა.

ოვეთ ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. მ. გაბუნია-ცაგარ-ლისა და ვ. აბაშიძის შეწყობილმა თამაშმა ადტ-ტებაში მოიეკანა დამსწრე საზოგადოება; აგრეთვე კარგები იყვენ ნ. გოცირიძე და კ. ჭელაძე.

საკონცერტო განყოფილებაში მომხიბლავად ამღერეს მ. გ. შესხელაშვილის ასულმა და ბბ. ჩუბანაშვილმა და ელიოზაშვილმა.

უკვლა მონაწილენი საზოგადოებამ ტაშის ტეშაო დაჯილდოვა.

საწარად მაგვაზნია აქვე აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთმა ახალგაზრდა მსახიობთ როლები არ იცოდენ და ეს-კა არ ეპატიებათ. **ჭიტა**

წერილი ამბები

ივ. გომართელი, სახელ-განთქმული მწერალი და ექიმი, 31 მაისს თბილისში დაა-პატიმრეს სამოსამართლო პალატის განაჩენის ძალით, რომლითაც ერთი წლის პატიმრობა მიესაჯა ივ. გომართელს აწ დახურულ ჟურნალ „ალიონში“ წერილის „როგორ შექმნა ადამიანმა ღმერთი“-ს დაბეჭდვის გამო.

ექიმი აშირბაჯიანი, ტრ. რამიშვილის პიესა, თარგ. ყ. კ—სა წარმოდგენილ იქნება პირველად სომხურად შაბათს, 12 ივნისს ავლაბრის თეატრში „ახალი დრამის“ ამხანაგობის-მიერ. აშირბაჯიანის როლს შეასრულებს ამოხარაზიანი.

სახალხო სახლში, პარასკევს, 11 ივნისს, შესდგება ილ. ჭავჭავაძის „**განდეგილი**“-ს ლიტერატურული გასამართლება და წარმოდგენილი იქნება კ. ფოცხვერაშვილის სცენები „**აშენდა საქართველო**“.

ლექცია შანტეკლერზე გაიმართება ამ ახლო ხანში სახაზინო თეატრში. ლექციას წაიკითხავს სპილიოტი სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ.

ტრ. რამიშვილს უკვე დაუმთავრებია ახალი ოთხ მოქმედებიანი დრამა. რავდენადაც შინაარსს გავეცანით, პიესა შეეხება ჩვენს ინტელიგენციას და მეტად საგულისხმოა: პიესაში გამოყვანილია სრულიად ახალი ტიპები. პიესის სამი მოქმედება საქართველოში ხდება, მეოთხე უცხოეთში.

ახალი მოდის პიესა. „შანტეკლერმა“ მიმბაძველები მოიპოვა საქართველოშიაც. როგორც შევიტყეთ, ჩვენს ახალგაზრდა მგოსანს ი. გრიშაშვილს დაუწერია ახალი პიესა „არ შეგციოდეს ბაკაკაჯან“, რომელშიაც მოქმედ პირებად გამოყვანილია დათვი, თხა, ყოჩი, მგელი, ცხვარი, თიკანი, ვირი, ძაღლი, თუთიყუში და სხვ.

გარდაიცვალნენ, — სახელგანთქმული მომღერალი ქალი **ე. ი. კუზა** და გამოჩენილი მუსიკოსი **მ. ა. ბალაკირევი.**

რუსეთის სასცენო მოღვაწეთა შორის შესდგა კომისია, რომელსაც მიზნად დაუსახავს სასოფლო თეატრის შესწავლა.

ბერლინის ცენზურამ აკრძალა ნ. ანდრეევის პიესის „დღენი ჩვენი ცხოვრების“ მესამე მოქმედება.—დედის-მიერ ქალის გამეძავება (გაყიდვა) დიდი უზნეობაა.

პოლონური თეატრი არსდება პეტერბურგში შემოდგომიდან.

წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ. ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვუცხადო გულითადი მადლობა ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგადოებათა, სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ, გაზეთების რედაქციათა, ქართულ და სომხურ სტენათა ეფელა არტისტ-ამხანაგებს, მხატვრებს, ბრესის წარმომადგენლებს, ქართველ და სომეს საზოგადოებათა წარმომადგენლებს, მეგობრებს და კერძო პირებს, რომელთაც მომიდოცეს ჩემი სასტენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე დეპეშებით, ადრესებით, წერილებით თუ პირადად.

დასასრულ მოვალეობასა ვგრძნობ, გულითადი მადლობა გამოვუცხადო სიუბილეო კომისიის უფელა წევრებს და განსაკუთრებით სიუბილეო კომისიის თავჯდომარეს დიდათ პატივცემულს ლ. ი. მღებროვს.

არტისტი **გ. გედევანოვ-მირაღიანი**

შინაარსი: რედაქციისაგან; ახალი გზა—ახალი ძალა—მეთაური; ახლანდელი პოეზია—ივ. გომართელისა; ჩემი შენი შენები—ზალვა დადიანისა; რეაქცია—აკაკისა; * * * —ვანო ბარგულისა; მოვა დრო—გ. ფოცხოველისა; ჩემი ჰანგი—კიკნა ფშაველისა; ინგილოური ლეგენდები (თავების ციხე)—ზ. ედიდისა; * * * —სეფდასი; ქართველ ახალგაზრდა პოეტთა ბედი—ნარისა; დიქცია—გ. ჯაბადრისა; სათეატრო ამბები; წერ. რედაქ. მიმართ; დილა—გ. ტაბიძისა.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

სამანუფაქტურო ამხანაგობა

ნაზაროვისა და ოტიევისა

ერევნის მოედანზე, ქალაქის გამგეობის დარბაზის ქვეშ.

ეოველდღე მოსდით აბრაშუმის, მატელის, ტილოს

და ბამბეულის დიდძალი საქონელი

უკანასკნელი მოდისა

ამხანაგობა ბატივცემულ ხალხოგადოების ეურადღებას მიაქცევს საქონლის დირსებასა და დღემდის არ ეოფილ სიიაფეზე **სყიდვა შევუვაჭრებლად** 25—10

ჩვენი გაზეთი

ყოველ დღ. საპოლიტიკ. სალიტერ.

გაზეთი. წლიურად 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. საზღვარ-გარედ 14 მან. ნახევარი წლით 7 მან. რედაქტ.-გამომც. **ზ. ტყეშელაშვილი**

ადრესი: Тифлисъ, тип., «Шрома»,

Кал. Кон. Цуладзе.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღ. საპოლიტ.-სალიტერატ.

გამოცემა, კვირეული სურათებიანი დამატებით. წლიურად 8 მან. ნახევარ წლით 4 მან 50 კ. რედაქტ.-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილისა**

ადრესი: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Сем. Пашаланшвили.

НОВАЯ РѢЧЬ

Ежедн. общ.-полит. литературная газета

На годъ 7 руб., 1/2 года 4 руб. помѣсячно 75 коп. Тифлисъ, Дворцовая ул. д. Груз. Двор. ред. «Новая рѣчь».

Ред. **Р. Д. Бебіевъ.**

Издат. **П. А. Готуа**

ХЕЛТОНАЧЕРІ ПІЕСЕБІ შემთხვევით იყიდება ლევ. ბაღაშვ-ლთან. ანდრონიკოვის ქ., № 5.

სახალხო სახლში,

პარასკევს, 11 ივნისს,

შესდგება

I

ლიტერატურული გასამართლება

განდეგილი-ს

ი. ჭავჭავაძის პოემიდან

მონაწილეობენ: ქ-ნი გოგოლაშვილი თ. ბ. ბ. ბაქრაძე ვლ., ჯაფარიძე ს., ჯაფარიძე კ., ზურაბიშვილი ი., მაკავარიანი ი., მესხიშვილი შ., მახარაძე გ., ელიავა ნ., ელიავა შ. და სხვ.

II

წარმოდგენილი იქნება კ. ფოტხვერაშვილის

ვ ი ე ს

ა შ ე ნ და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!

სცენები ორ მოქ. ქართ. სტუდენტების ცხოვრ.

დასაწყისი საღ. 8 საათ.

ფასები 1 მ.—10 კ. გამგე ალ. ს. ლანდია.

განყოფილება „**პროგრესის**“ სტამბისა, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სახლში